



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თეატინელები

თეატინელები, (ქიეტინელები, კვიეტინელები, პავლ ი ნ ე ლ ე ბ ი), რომის კათოლიკური ეკლესიის მონაზვნური კონგრეგაცია (Ordo regularum theatinum), დააარსეს 1524 კიეტის (ლათ. Thiatinus) ეპისკოპოსმა ჯან პიეტრო კარაფამ (შემდგომში პაპი პავლე IV) და წმ. გაეტან თიენელმა. 1540 დაამტკიცა პაპმა პავლე III-მ. ორდენმა მიიღო ავგუსტინელი ბერების წესდება. იგი დაარსდა კონტრრეფორმატული მოძრაობის დროს და მიზნად ისახავდა სამღვდელთა ზნეობის ამაღლებას, კათოლ. აღმსარებლობის განმტკიცებას და გავრცელებას, ერეტიკოსების წინააღმდეგ ბრძოლას. უარყოფდნენ რა ყოველგვარ საკუთრებას, ცხოვრობდნენ ღმერთს მინდობილნი, განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდნენ ავადმყოფთა და მომაკვდავთა მიმართ, ამიტომაც მათ მოციქულებრივ სამღვდელთა საც უწოდებდნენ. ორდენის ძირითადი სამყოფელი იყო ნეაპოლი და ვენეცია, საიდანაც გავრცელდნენ მთელ იტალიაში, საფრანგეთში, გერმანიაში, პოლონეთში, ესპანეთში. მისიონერულ მოღვაწეობას ეწეოდნენ კავკასიაში, სპარსეთსა და ინდოეთში. პაპ ურბან VIII-ის და სჯულის პროპაგანდის კონგრეგაციის დავალებით თ. 1628 ჩამოვიდნენ საქართველოში, მოღვაწეობდნენ ქართლში (გორი), სამეგრელოსა და გურიაში. მათი ცნობილი მოღვაწენი იყვნენ: პ. ავიტაბილე, კ. კასტელი, ა. ლამბერტი, ა. ბორომეო, კ. გალანო და სხვ.

ლიტ.: თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ..., ტფ., 1902.

მამა ზაზა (თევზაძე)
